

ნეშადურნი



№ 14.

უკუკვირული ჟურნალი

1907 წ.

2067



მესამე დუმის თავმჯდომარე
ნ. ა. ხომიაკოვი.



მწუხარე ანგელოზი.
ჭტეინის სურათი.

ქვავილი და გულბული.

ყვავილმა უთხრა ბულბულსა:
„მო ჩემთან, გულის შეებაო,
შორს ნურსად გადაჭორინდები,
გულს ცეცხლი მომედებაო.
უშენოთ ყოფნა ამ ქვეყნად
არც ჩირად ეღირებაო,
და მხიარული სიცოცხლე
სიკვდილათ შემეცვლებაო.“

— ბულბულმა უთხრა: „უშენოდ
მეც ბედი მიმწარდებაო;
შენსა სიკვდილთან, ყვავილო,
ჩემი სიტუტფე კვდებაო:
სტვენა, სიმღერა, ჭიკჭიკი
გულს აღარ აღმოჰხდებაო...
განა უტუტფოდ ქვეყანა
იცოცხლებს... ამღერდებაო?..“

ი. მჭედლიშვილი



ილია ჭავჭავაძე

(მოკლე განხილვა).

II

მეორმოცდაათე და მესამოცე წლები დიდებულ ხანად ჩაითვლება მსოფლიო ისტორიაში. ამ დროს გაისხა ფრთები მთელს ევროპაში ეროვნულმა მოძრაობამ. დამონებულ ერთა შორის გაიღვიძა მძლავრათ თვითცნობიერებამ. ამ ერებმა იწყეს მზადება და ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლათ. პირველათ ამოიღო ხმა სამათ დაგლეჯილმა იტალიამ, ააფრიალა თავისუფლების დროშა მაძინის და გარიბალდის მეთაურობით, დაეძგერა სამს ვეშაპს; საფრანგეთს, ისპანიას, ავსტრიას და მოიპოვა მათგან სრული პოლიტიკური თავისუფლება. ამავე დროს ადგა უნგრეთი კოშუტის მეთაურობით, დაეტაკა თავის მტარვალს ავსტრიას, იბრძოლა მედგრათ და მოიპოვა თავისუფლება. ამ დიდებულ მოძრაობას ბანი მისცა ჩეხიამ, ირლანდიამ, პოლონეთმა, სომხეთმა, ბალკანეთის ერებმა და მხოლოდ ბედშავ საქართველოს ეძინა საღათას ძილით ორთავა არწივის ბრქვალეებში. ქართველი გლეხობა კვენსდა ბატონის მძიმე უღელ ქვეშ, ვაჭრობა-მრეწველობა ჩაეგდოთ ხელში სომეხ-ურიას, ინტელიგენცია ახლად ჩდებოდა, უსაქმური თავად-აზნაურობა კი გაეტაცა ქეიფ¹, ნადიმებს და ჩინ-ორდენების ძებნას. აი რა უნუგეშო სურათს წარმოადგენდა იმ დროს საქართველო! ამიტომ სამართლიანად ამბობს გულდამწვარი ილია თავის „აჩრდილ“-ში ჩვენს მაღალ წოდების შესახებ:

—„გრძნობას ოქროსა ფასად ყიდიან,
 მთავრის ღიმილზე—პატიო ნებას,
 და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
 თავის მამულის თავისუფლებას“.

ამავე დროს გერმანია-საფრანგეთს მოედვა რევოლიუციის აღი; აფრიალდა ხალხის ხელში წითელი დროშა; ტირანიის კირთებმა იწყო დანსხვრევა; ეცემოდა ძველი კერპები; ფეხს იდგამდა პიროვნების ემანსიპაცია.

ამ დიდებულ ხანაში მოხდა კიდევ ერთი შესანიშნავი ამბავი: დიდი რუსეთი სასტიკათ დანარცხდა ყირიმის ომებში, რუსის მთავრობას დაეცა თავხარი; დაირღვა მყუდროება პოლიციურ სახელმწიფოში. რუსეთის პრესამ და ინტელიგენციამ აიმაღლეს ხმა დიდი რეფორმების მოსახდენათ. მთელი რუსეთის წინაშე დაისახა მკაცრად ჰამლეტის კითხვა: **ყოფნა-არ ყოფნა**, ან გლეხთა განთავისუფლება და ევროპის ინდუსტრიალიზმი, ან სრული მოსპობა. ევროპის რევოლიუციის აღმა შეაშუქა ბნელ

რუსეთშიაც. ატყდა განგაში; აფრიალდა გლეხთა განთავისუფლების დროშა; შეგნებულმა საზოგადოებამ მოითხოვა ეგრეთვე თვითმართველობა და სამჯავროს რეფორმები, მან მოისურვა გამოსვლა პოლიციის აპეკიდან. მოძრაობის სათავეში ჩადგენ რუსეთის დიდათ ნიჭიერი და განათლებული პირნი, მათ შექნეს ახალი მწერლობა. ამ ნაწარმოებს დაეწაფა ხურვალეთ ქართველი სტუდენტობა და მათ შორის ილიაც.

სწორეთ ამ დიადმა მოვლენამ ააქლერა ილიას ჩანგური შემდეგი ჰანგიო:

—„მესმის, მესმის სანატრელი
 ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
 სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
 დასათურგნათ მონობისა,
 აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
 და აღმიგზნებს იმედს გულში,
 ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
 გამაგონე ჩემს მამულში“...

ნევის ცივ-ბურუსიან ნაპირებიდან 1861 წელს ჩვენი პოეტი მოისწრაფის თავის საყვარელ სამშობლოში. მას წყურია საქმე, წყურია მოქმედება. ენერგიული ახალგაზდა პირველად იღებს მონაწილეობას ძველ მოღვაწეებთან ერთად ჟურნალ „ცისკარში“; თავის დაუზოგველ კრიტიკით ახდენს იქ ალიაქოთს და იწვევს მამათა საშინელ წყრომას. ერთი წლის შემდეგ ჩვენი პოეტი შორდება მათ, ქმნის ცალკე ახალგაზდათა ჯგუფს და აარსებს ევროპიულ ხასიათის ჟურნალს „საქართველოს მოამბეს“. 1863 წლიდან, ე. ი. ილიას ჟურნალის დაარსებიდან იწყება ქართველი ერის გონებრივ ცხოვრებაში ახალი ხანა, თვით ილია კი ხდება მის მესვეურად. მედგარი შრომა და ნიჭიერი ნაწარმოებნი ახასიათებენ ამ დროის ილიას მოღვაწეობას. მისი პოეზიის მუზა იღებს ახლა სხვა კილოს, ის მოთქვამს მუშის შავბედს და გლეხების სიმწარეს. გლეხი, გუთნიდედა ესაუბრება თავის ხარს ლაბას და შესჩივის თავის უბედობას:

—„ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
 წილად გვარგუნეს შვი მიწა ჩვენ,
 ერთგულად ვქიმოთ ჰაბანი ჩვენი
 უსიხარულოდ დავლოთ დღენი.
 ბელტი ბელტზედა ვ დავაბრუნოთ
 და შრომის ოფლი მ წას ვაწვიმოთ.
 ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
 ჩემს უღელზედა არ ა ის ძნელი,
 მეც შენებრ მიწას დაყურებ თვალით,
 რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით...
 შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!..
 ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგ შურდება!
 რად მანდა ხმალი თუნდ იყოს მკრელი
 თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?“

*) იხ. „ნიშადური“ № 13.



ილიამ ახალა ფარდა ბატონის სიმხეცეს და გვიანდერძა უკვდავი სურ თები ყაჩაღის ცხოვრებიდან. ახალგაზდა გლეხი ზაქრო კლავს მამა მისის მტანჯველს გამხეცებულ ბატონს და თვით გავრდება ყაჩაღათ. ილია შეეხო იმ გამხრწნელ სფერას, რაშია იზრდება იმ დროს ბატონი და მოგვცა შესანიშნავი მოთხრობა „გლახის ნაამბობი“. ნებიერი თ დი დათიკო არ ინდობს თავის საუკეთესო ყმას გაბრიელს და ბილწავს მის საცოლოს. ილიამ ჩაგვახედა უსაქმურ ბატონის ოჯახში და დაგვიხატა ღორმუცელა ტიპები ლუარსაბ-და-რეჯანი, რომელნიც ყოველ დღე ფიქრობენ მხოლოდ ბოზბაშ-ჩიხირთმაზე და შეექცევიან ბუზების თვლით. ამ ტიპებით ილიამ დაუდგა თვალ-წინ ჩვენს ფეოდალეს უზარმაზარი სარკე და დაანახა შიგ მათი სახე.

თითოეული ამგვარი ლექსი, პოემა თუ მოთხრობა ილიასი სკდებოდა ვით ყუმბარა ზვიად ფეოდალთა ბანაკში და იწვევდა საშინელ აღედევას, მაგრამ მამაც მგოსანს არავის ეშინოდა, თამამად მიდიოდა იგი წინ და აქედრებდა თავის ჩანგურს მჩაგვრელთა საზაროთ და ჩაგრულთა სანუგეზოთ. მას გმობდენ და სდევნიდენ მრისხვანე ბატონები, მაგრამ მას ბანს აძლევდა და მის დროშის ქვეშ დგებოდა ფხიზელი ახალგაზდობა.

ეს ხანა იყო განახლების, ადამიანის სულის აღორძინების ხანა. დაინსხვრა რუსეთსა და ჩვენში ბატონ-ყმობის შიძიმე კირთები; კბილის ღრქენით მიეგება ბატონი ამ დაად მოვლენას; ამოისუნთქა ნეტარებით თავისუფალმა მონამ; მან პირველად იგრძნო, რომ ისიც ადამიანია; ამ ადამიანს ექვრებოდა მიწა.

თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე ილიამ თამამათ განაცხადა, რომ თავისუფლებასთან ერთად გლეხს უნდა მიეცეს მიწებიცო. ამ დიადმა განცხადებამ საშინლად ააღელვა იქ მყოფი ფეოდალები. ერთმა მათგანმა იშიშვლა ხანჯალი და უცნაურის ლანძღვა-გინებით გაექანა ილიას მოსაკლავათ, მაგრამ მშრომელი ხალხის მედგარი დამცველი არ შეუშინდა არც მახვილს და არც მუქარას. ის მტკიცედ იდგა თავის ნიადაგზედ და იცავდა ყველგან უმწეო გლეხის ინტერესებს. ვით ხელმარდი დოსტაქარი, ის ახდენდა ვაბედულათ მწვავე ოპერაციებს და ამყნიდა ყველას დემოკრატიულ იდეებს. მისი ცოდნის, ხასიათის და მაღალ გრძნობების წინაშე ქედს იხრიდენ ხალხის თავისუფლების მტრები.

ილიასთან ერთად სამწერლო-საზოგადო ასპარეზზედ გამოვიდენ სამოქმედოთ ნიჭიერი და მომხადებული პირნი, ბელეტრისტ-პუბლიცისტები; გაჩაღდა ჩვენში ახალი მწერლობა, იწყო ძვერა სა-

ზოგადო ცხოვრების არტერია. ახალ მოძრაობის ძლიერმა ტალღამ გაიტაცა ჩვენში დიდი და პატარა. ახალგაზდა მოღვაწენი მხნეთ შეებრძოლენ ყოველივე დაბრკოლებას, უმეცრებას, ტოლდროცობას, სიღარიბეს და გაქვირებას, მათ დააარსეს ჟურნალ-გაზეთები, დააარსეს სააზნაურო ბანკები, დააარსეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დააარსეს სახალხო უკოლები, ხელი შეუწყვეს თეატრის გავითარებას. ამ მოღვაწეთა მოქმედება იყო ფრიად ნაყოფიერი და ქართველი ერის გამღვიძებელი. მათი ღვაწლი დიდია და უკვდავი სამარადისოთ. ამ ქართულ კულტურის მუშაკთა საერთო შრომაში მეთაურის როლს ასრულებდა თვით ჩვენი პოეტი ილია ქავჭავაძე. დაუღალავი ილია იღებდა ხურვალე მონაწილეობას ყველგან და ყველათურში. იგივე ებრძოდა მედგართ კალმით ხელში საქართველოს მტრებს კატკოვ-იანოვსკის, განსაკუთრებით კი სომხის შოვინისტებს, რომელთა ცრუ ლაყბობას ილიამ გასცა პასუხი თავის შესანიშნავ „ქვათა ლაღლით“.


ილიას მახვილ გრძნობაერებას იტაცებს აგრეთვე ევრაზიაში აღძრული სოციალისტურ მოძრაობის დიდი კოცონი. იგი აღტაცებით ეგებება შრომის განთავისუფლების იდეას, მის გამო შექნილ საშინელ ბრძოლას და კიდევ 1860 წელს ნორჩი მგოსანი თავის უკვდავ „აზრდილში“ იმბობს შემდეგს წინასწარმეტყველობას:

—„შრომისა ახსნა,—ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგართა იბრძვის. ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრივალის ქროლას; ველარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას და დაინსხვრევა იგი ბორკილი შემფერხებელი კაცთა ცხოვრების და ახალს ნერგზე ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“...

ს. ქვარიანი.

(შემდეგი იქნება)





დარვინის თეორიით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მსტავაძე მღვდელთა მთავარი
ალექსანდრე ეპისკოპოსი.
(† 1907 XI 9).



ადმინისტრატორი.

ცხოვრების წიგნიდან

(მართალი ამბავი)

ყმაწვილი იყო, გამოუცდელი,
დედ-მამის ხელში სცხოვრობდა ტკბილათ.
არა-რა ქონდა მას სადარდელი,
სიცოცხლე უჩნდა შვებად და ღბინათ.
ბუნებისაგან დაჯილდოებულს,
აფუფუნებდა ტკბილი ცხოვრება;
სხვისი ლალატა და მოტყუებას
ვერ იფიქრებდა მისი გონება.
თავი მოწონდა, მხიარულ იყო...
ნორჩი სიცოცხლე ფეთქდა და სდუღდა.
მედგარის შრომით, პატიოსნებით
მოხუც მშობლების დატკბობა სურდა.
ამ დროს გამოჩნდა ვინმე, სტუდენტი,
თავ მოაწონა და სთხოვა ხელი;
ფიცით და ცრემლით სრულათ მოხიბლა

და დაითანხა გამოუცდელი.
მეცნიერების ტაძრის მოწაფეს
მან დაუჯერა... ენდო სრულადა...
რას იფიქრებდა, ნათლის მძებნელი
მოატყუებდა ბედშავს მტრულათა?
ეხლა რაღა ქნას? გამოეთხოვოს—
ნორჩ სიცოცხლესა თავ განწირული:
გადაეშვება ზღვისა სიღრმეში,
რომ იქ დამარხოს სირცხვილის წყლული...
მიდის კიდევაც, სტოებს ქვეყანას,
ტკბილი ცხოვრება არ ენატრება;
მაგრამ იცოდეს მისმა მტნაჯველმა,
მასაც კეთილი არ შეეყრება:
ვერ დაიძინებს მოსვენებულათ—
ქალის აჩრდილი აედევნება.
მის მაგიერთან როს განისვენებს,
მსხვერპლის აჩრდილიც გვერდს მოუწვება.
მრისხანის თვალთ დაუწყებს ცქერას,



დასჯის, დატანჯავს შეუბრალებლათ-
 არ მიაკარებს ძილს, მოსვენებას,
 გარს შემოერთყმის ცეცხლებრ დამწველათ.
 ზღვის პირასა სდგას ყმაწვილი ქალი,
 შემოიკრიბა სულის სიმავრე
 და გადაეშვა ზღვაში საწყალი...
 მას შემდეგ თურმე ყოველ საღამოს
 ზღვიდან გამოდის ქალის აჩრდილი,
 სტირის და კენესის, სტუდენტს ეძახის,
 შებრალებას სთხოვს მისგან დასჯილი.

კორტოხა.



კრუშევაეი შავ ძაღვებს იწვევს „ინორდღების“
დასარბევად.

სპარსული სიბრძნე.

ოტა სილამაზე ბევრს მზითევს სჯობია.

*
**

თუ მგელმა ცხვარი მოიტაცა, ცუდილა მწ-
ყმისს ყვირილი.

*
**

თუ მგელმა ხორცი იშოვა, რას დასდეს: მო-
ციქულის აქლემია, თუ ანტექრისტეს ვირი.

*
**

წისქვილის ხმა მესმის, ფქვილი კი არსადა სჩანს.

*
**

იმისი გეშინოდეს, ვისაც შენი ეშინიან.

*
**

ოთხი რამ არის, რაც კაცს უფრო მეტი აქვს,
ვინემც ჰგონია: ცოდვა, წლოვანობა, მტერი ღ ვალი.

*
**

სიკეთის გადახთა სიკეთით ვირმა იცის, ავის
გადახთა ავით—ძალღმა, სიკეთის გადახთა ავით—
ეშმაკმა და ავის გადახთა სიკეთით—ღმერთმა.

*
**
ყველა ჯოჯოხეთის კარს შეულოცავს, გარდა
ქურდობის კარისა.

*
**
იგულე საიდან მოხველ, სადა ხარ და საით
წახვალ.

ნათარგმნი რიშ ბაზასი.

სამაგალითო გაკვეთილი.

სკოლასთანა საფლავს სთხრიდნენ
 მასწავლებლის დასახვრეტათ,
 მოწათენი იქვე იდგნენ
 ზვარაკ-მსხვერპლის დასაქვრეტათ...
 ქვითინებდნენ იმდღუროდნენ,
 რომ კარგავდნენ მასწავლებელს...
 „გეყოთ, ყრმანო, ნულარ სტირით—
 „ვერ ამაცდენთ უცილობელს!
 „გაძლევთ მე დღეს გაკვეთილსა
 „ამა ქვეყნად უკანასკნელს,
 „მხნედ იყავით, არ ემონოთ
 „შავზნელ ძაღვებს, წყვილადს, ქვესკნელს!
 „არ უმტყუნოთ შრომას, სწავლას,
 „ემსახურეთ ერს, ქვეყანას;
 „ვინც სიყრმეში გაირჯება
 „ბოლოს იგრძნობს შვებას, ღხენას!

ნათარგმნი შალვა ქართველიშვილის.

ქ ი ნ ნ ო ნ ზ ი.
(ამბავი)

ქალაქის ხმაურობას და სამეფო კარის ბრწყი-
 ნვალებას მოშორებული, სცხოვრებდა ბრძენი ქინ-
 ნონგი სოფელელთა შორის. ბრძენი სოფლად მშვი-
 დობიანსა და მყუდრო ცხოვრებაში ატარებდა
 დროს და სტკებოდა იმ ნეტარებით, რომელსაც
 ჰპოვებს ამგვარს ყოფაში, გარდამეტებულს სურვი-
 ლებს მოკლებული, ადამიანი.

ერთმა წარჩინებულმა პირმა დიდად გაიკვირ-
 ვა, რომ ქინნონგი ამგვარს ხეპრე და გაუნათლე-
 ბელს ხალხში ყოფნას ირჩევდა და მათს ზნე-ჩვეუ-
 ლებებს ეგუებოდა.

— რატომ სსახლის წრეში არ გაერევი?—
 ჰკითხა ქინნონგს,— შენი სიბრძნე დიდს ადგილს
 მოგანიჭებდა იქაო.

ქინნონგმა ღმობიერებით გაუღიმა წარჩინე-
 ბულს და შემდეგის იგავით მიუგო პასუხი:

— ერთხელ მთამ უთხრა ბარის ადამიანს:
 „როგორ სძლებ მანდ, დაბლა ქაობებში? ამოდნი
 ჩემს მწვერვალებზედ და მაშინ დაინახავ შენს თავს



ვარსკვლავებით გარს შემოხვეულს და ღრუბლები კი შენ ფეხთ ქვეშ იტურავენ“.

— „ეგოდენი მაღალი საბრძანებელი ვერ ჰხიბლავს ჩემს გრძნობას.—უპასუხა ადამიანმა.—მართალია, შესაძლოა მაშინ ხალხს ეფიქრა, რომ უზენაესმა მე მომანდო ჩემს მხრებზედ დავიმავრო თვალუწვდენელი ცის კამარა, მაგრამ მაგვარი უაზრო და ფუჭი სახელი ვერ მიზიდავს. შენი ქედი მუდამ თოვლითაა დაფარული, გარს უფსკკრულები და კლდე-ღრე გარტყია, საზარელი ქარიშხალი თავს დაგტრიალებს და გულის შემზარავ გრგვინვას ქექა-ქუხილი გააქვს; მაგრამ, აბა, ახლა ძირს, ტრიალს მინდორს გადმოჰხედე, რა მშვენიერს სანახაობას წარმოადგენს! აყვავებული მდელოები, ზღვასავით მღვლევარე მობიბინე ყანები, მწვანე ხეხილები, უკვე მოწყულის ნაყოფით დატვირთული, ჩრდილიანი ტყეები, მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულები და მათს შორის გამრჯელი, უწყინარი შრომის შეიღნიო!“

— ძლიერნო ამა ქვეყნისანო! რად ეკიდებით ასეთის ზიზლით და მძულვარებით უბრალო ხალხს? თქვენ რომ მაძღრები ხართ და გარეგნულად ბრწყინავთ, განა ეგ ხალხის შრომის ნაყოფი არ არის, რომლითაც თქვენ სარგებლობთ? მაშ, რით და ამაცობთ? ნუ თუ მხოლოდ იმით, რომ თქვენი წინაპარნი დიდებულები იყვნენ“?

დიმ. დეკანოზი შვილის ნათარგმნი.

წმინდა ქართული.

(ფილოლოგიური ტრაქტატი).

ვინ არ ჩივის ახლა ქართული ენის წახდენას! წავიდა, აღარ ისმის წმინდა ქართული, ტკბილი ქართული...

ვისი ბრალია?— ემდურთან — მეტადრე ჩვენს მწერლებს: ყველაზე მეტად მაგათ გარყვენს ენაო.

დიახ სამართლიანი საყვედურია, რადგან ქართველი მწერლისათვის ქართულის ცოდნა სავალდებულო როდია. მაგრამ ენის წახდენაში, მწერლებს გარდა, დიდი ბრალი აქვსთ ჩვენს ვაჭრებსაც, რომელთაც რუსული სიტყვების ხმარება განათლება ჰგონიათ.

ამას წინად ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მიაშობო: „ერთს მანუფაქტურის მაღაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა.

— რა საროჩკები გნებავთო, ჰკითხა კუპეწმა, პალატნიანი თუ შოლკოვი?

— მე ნეჟნად გაზდილი არა ვარ, სიტყვებდაც სოლდასნი ვარო.

ჩამოილო პრიკაშიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილავეკაზედ.

პრისტავმა გადარჩია ოთხი საროჩკა სხვა და სხვა ფერისი: ლილოვი, გალუბოი, კარინივი და სირენივი. ბუმაგაში გაახვევინა და ჩაიღო ფეხებში გატენილს საკვოიაჟში.

— სხვა ხომ არა გნებავო რა? ჰკითხა კუპეწმა. ნოვომოდნი საიუბკე შერსტანოი მატერიები მაქვს, სუქნო, ლიონსკი ბარხატი, ფაი, პადუშკის საპირე ბურსო, ნაირნაირი შოლკოვი მატერიები...

— არა, რაც მინდოდა სხვისგან ვიყიდეო, უპასუხა პრისტავმა. საროჩკებში რა უნდა მოგცე? კუპეწმაც ჩოთკში ჩააგდო: თითოში—დვა რუბლი ტრიცეთ, სუმა დევით რუბლეთ დვაცათ კაპეიკს იხამს.

იკრა პრისტავმა კარმანზედ ხელი და... გროში-კაპეიკი არ გამოაჩნდა, პორტმანი შინ დავიწყებოდა.

— უკაცრავად, ნალიჩნი თან არა მქონია და ჩემზედ იყო სო.

— თქვენისთანა პაკუბატელს, კრედიტში კი არა, დარომაც რომ ინებოს, უფაჟენიას ვუზამთო, უთხრა კუპეწმა“.

ძალიან მეწყინა, ნაციონალისტს, ასეთი შებღალღვა ქართულის ენისა. დამახსოვდა ეს უშნო ნააშობი და სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე.

ჯავრი მომდიოდა: ნუ თუ რუსთველის ენა ისეთი ღარბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავეურიეთ?

ავიღე და იმ ვაჭრის ნაამბობი გადმოვაქართულე და რაც რუსულის მაგიერ ქართული სიტყვა ვინმარე, იმას ხაზი გავუსვი.

აი რა გამოვიდა.

ერთს **ფარჩეულობის დუქანში** შევიდა ჩვენი **ბოქაული** და **პერანგები** იკითხა.

რა პერანგები გნებავთ, ჰკითხა **ვაჭარმა ტილოსი** თუ **აბრეშუმისა**?

— მე **აზიზად** არა ვარ გაზდილი, **ჩითისას ვიყაბულებ**.

ჩამოილო **ნოქარმა ყაფაზიდან** ერთი **დასტა პერანგი** და დაუწყო **დაზგაზედ**.

ბოქაულმა გადაარჩია ოთხი **პერანგი** სხვა და სხვა კერისა: **სოსანი, ლაჯვარდი, მიხაკისა და იასამანის** ფერისა. **ქალაღში** გაახვევინა და ჩაიღო **ბარგით** გატენილს **ხურჯინში**.

— სხვა ხომ არა გნებავთ რა? ჰკითხა **დანლი-დარმა**. ახლად შემოღებული **საკაბე შალეები** მაქვს. **მაუდი, ხავერდი, დარაია, ბალიშის** საპირე **ყანაუზი**, ნაირნაირი **ფარჩები**...

— არა, რაც მინდოდა სხვისგან ვიყიდეო, უპასუხა **ბოქაულმა**. **პერანგებში** რა უნდა მოგცე? **ვაჭარმაც იანგარიშა**: თითოში—ორი **მანათი** და ექვსი **შაური**, **ჯამი ცხრა მანათსა და ერთ აბაზს** იხამს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იკრა **ბოქაულმა ჯიბეზედ** ხელი და **ფული**
არ გამოაჩნდა, შინ დავიწყებოდა.

— უკაცრავად, **ნაღდი** თან არა მქონია და
ჩემზედ იყოსო.

— თქვენისთანა **მუშტარს**, **ნისიად** კი არა,
მუქთადაც რომ ინებოს, **ხათრს** ვუზამთო, მიუგო
სოცდაგარმა.

ეს ხომ წმინდა ქართულია, ვთქვი ჩემს გულ-
ში... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა,
როცა ხაზ-გასმული სიტყვები გადავთავალიერე:
სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური
და ლათინური გამოდგა!

მაშ რისლა წმინდა ქართული ყოფილა ჩემი
გადმოქართულებული?..

თურმე წმინდა ქართული არცა გვაქვს და
არცა გვექონია!

დაე გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც
ჰგონია, ვითომც ენის სიწმინდე თავისებური სიტ-
ყვებია და არა თავისებური სინტაქსი.

რიშ-ბაბა.

ლ. ლ—ანს.

მეგობარო, რასა სწუხხარ,
რად შეგიკრავს აგრე პირი?
ვგონებ გულზე უხამად გაწევს
ჩაგრულ მოძმის გასაპირი...

ვგონებ ფიქრობ შეეწიო,
თანაუგრძნო ტანჯულ ერსა,
იმოქმედო რამ გმირული,
შიშის ზარი დასცე მტერსა.

გაუმავრდი მტრის მუქარას,
ნუ გაშინებს შავი ბედი,
გრწამდეს ერთგულს მამულისას
ძალას აძლევს შემოამქმედი.

ქედს ნუ უხრი მწარე ტანჯვას,
ნურცა უღმრთო განგებასა,
მედგრად დახვდი ძლიერებას,
ებატონე შენს ნებასა.

წაიკითხე მოთხრობებში
ძველებს რაცა უწერია,
ან მამულის სასარგებლოდ
რას გვასწავლის ისტორია.

მოიგონე წინაპარნი,
ყველა მსხვერპლნი მამულისა,

ერთგულების თანამგრძნობნი,
ზარ-დამცემნი ორგულისა.

გაისარჯე, თუ კი გინდა
მოიპოვო აქ სახელი,
არ ივარგებს უქმად დარჩე,
ცოცხლად თავის დამპარხველი...

ფაჩუ.

ვ ა ი , ღ რ ო ნ ი !

ქალი. — გაიგე, დედი, ლიზამ მაროს „უენიხი“
წაართვა.

დედა. — ღმერთო, ეს რა დროს მოვესწარი,
რომ გასათხოვარ ქალებმაც კი დაიწყეს ექსპრო-
პრიაცია!

მ ქ ს კ რ ო მ ბ ი .

(„ლისტოკის“ მურხას)

შთამამავლობით ჯორია, ველარ გახდა ბედაური!
ყველასა ღრენს, ყველასა ჰკებენს; ყველასია უმადური,
ცრუ ამბები ძრიელ უყვარს აქეთური-იქითური,
ღროა პირბადე მოვხადოთ და ვაგემოთ „ნიშადური“

გულ უბრიყვილო „ბარიშნა“

ბარიშნა. (შინჯავს ეგვენი გეგეჰკორის სუ-
რათს „ნიშადურის“ № 12-ში). — ეს არის ჩვენი დე-
პუტატი?

კავალერი. — დიახ, ეგ გახლავთ.

ბარიშნა. — მერე, ესეც სოციალ-დემოკრატია?

კავალერი. — ნამდვილი.

ბარიშნა. — ჰმ... საკურველია, სახით უფრო
კვიანსა ჰგავს.

მეჯლისი მსდეკავის პანთეონზე.

რას მიქვიან ქართველი, ან მეოსანი ილია!
გვირჩვენთან „ეშმაკი“ — მებრძოლი და გმირია...

ან ვინ არის აკაკი, ცრუბენტელა-ტრაბახი,
ყველა მის ნაწერებსა სჯობს „ეშმაკის მათრახი“!
ვოლსკი და ნიკოლაქე ნეტა რა კაცებია,
ცხვედაძე, ჯანაშვილი ყველას დავიწყებია.
გოთუა და გუნია ღიახ დასაწუნია
აზიანმა, თავუნამ ასახელეს ღუნია...

მექორეა „ისარი“, ცრუა ფედერალისტი
ერთად ერთი პარტია ჩვენ ვართ ქართველ მარქსისტი
ყველგან და ყველაფერში რა სჯობიან ჩვენ „წყაროს“
მის სტატია წერილი, „ტონს“ აძლევს მთელს სამ-
| ყაროს...

ერთის დაკვრით „ნიშადურს“ სული გავაფრთხობინეთ
ქართველ ესდეკათა სხივი ყველგან უხვად მოვფინეთ!
კოწია ენოსისელი.



კაცის უფლების დროშის გარშემო
 ხალხი ბობოქრებს და ემზადება;
 ამ უფლებისთვის იგი სისხლს დადგრის,
 მსხვერპლის წინაშე აღარ შესდგება!

აგერ დროშაც კაცთ მოვალეობის
 ზედ აღმართულა, მადლა ფრიალებს
 მაგრამ ხალხი კი მის დასამკვიდრად
 თავს არ იტყობს, აღარ მიჰინჯავენს!..

აგრეს ხელმე—უფლება გვიყვარს,
 მისი შეძენა სანატრელია,
 მაგრამ ჯერჯერ მოვალეობა
 ჩვენ აღარ გვწამს, რაკი ძნელია!..

გ ლ ე ხ ი ს ჩ ი ვ ი ლ ი .

ვა, რა დიდ ხანს გავრძელება ეს რხევი ზამთარი
 დამე ჭეინავს და დღისით შევლა არსით არ არი.
 შეგვაწუნს წყუღმა, არსაით გვიჩანს შევლა
 და უფიქროს მსრდანა ისმის კრულვა და წყუღა.
 ჩვენი ზანების დროსაც ზამთარს სშირათ ჭეინავდა,
 გაზაფხულის იმედი უფელას გულში ბრწყინავდა.
 ჩვენც იმედს ნუ დავკარგავთ, თუმც ზამთარი მწარია;
 უიმედო ვინც არი, სიცოცხლითვე შევადანა!..

რაჭველი შურდული.

სიტყვა თქმული ჭიათურის გაჩენაზე.

(გაბრიელ ეპისკოპოსის მიხედვით).

როდესაც ღმერთმა ჭიათურა გააჩინა, გადა-
 უხსნა პირი, ჩაუღო შიგ აუარებელი სიმდიდრე-
 მარგანეცი და უთხრა:

„დაიჭირავებდეს ექსპორტიერი მუშებს, ქვეს-
 კნელიდან გამოატანიებდეს მარგანეცს, ევროპის
 ბაზარზე ყიდდეს, თვითონ მილიონებს იგებდეს,
 ყველას ჯიბეში იღებდეს და მრავალტანჯულ მუ-
 შებს კი ორიოდ გროშებს თავის დროზედაც არ
 აძლევდეს“.

„ყოველ სამ-ოთხი წლის შემდეგ საკმაოდ
 გაივსებოდეს ევროპის ბაზარი, აღმოცენდებოდეს
 საშინელი კრიზისი, ყველა მალარობეში მუშაობა

შესწყდებოდეს, „ხაზინი“ თავის მუშა-მოსამსახუ-
 რებს ველარ ცნობდეს და აღსრულდებოდეს იესო
 ქრისტეს სიტყვა პეტრე მოციქულის მიმართ: „ხა-
 ნამ მამალი სამს მოცივლებდეს, სამჯერ უარს იტ-
 ყვი ჩემ მოციქულობაზეო“.

შემდეგ ღმერთი მიუბრუნდა ილიკო ბახტაძეს
 და ვაგონების დამტირთველ მუშებს და უთხრა:

„ხალხის ერთობას და თავისუფლებას მოჰყვე-
 ბოდეს საშინელი რეაქცია, იწვებოდეს სახლ-კარი,
 ველურდებოდეს საუკუნოებით შექმნილი კულტუ-
 რა, გამოცხადდებოდეს სამხედრო-სავანგებო და-
 ცვისა და სააღყო წესები—მაშინ თქვენ დაფხტე-
 ბოდეთ ჭიათურის ბოქაულის კაბინეტიდან გუბერ-
 ნატორის კანცელარიაში არტელის „უსტავით“
 ხელში, კანტორიდან კანტორაში და ელრიჯებო-
 დეთ და სთხოვდეთ პირველთ დამტკიცებას, ხოლო
 უკანასკნელთ ხელს მოწერას.

„ხოლო არტელის შეკრვა-შეგოჭით გული
 გაუმაგრდებოდეს ექსპორტიერებს და ეკონომიური
 გაფიცვა უკუნითი უკუნისამდე აღარ მოხდებოდეს“.

„მაშინ უზრუნველ ყოფილი „ექსპორტიერე-
 ბი“ შეუდგებოდენ მოსამსახურეების გაძევებას და
 გაფიცვით მოგებულ ოთხი თვის ჯამაგირის მაგიერ,
 გაძევებულებს ოთხ-ოთხ პანლურს ამოკრავდენ“.

დ. მამათელი.





მზეთუნახავის მოტაცება.

ჯიაკომეტის ნახატი.

საფუძვლიანი პასუხი.

— მითხარი ერთი, პანტელა, მთვარეზე ხალხი არის თუ არა?

— ბეჩა! აბა, მაგას რასა მკითხავ, რამ გავასულელლა!

— რასაკვირველია, რომ იქ ხალხი არ არის; მთვარეზე ხალხი რომ ყოფილიყო, ყოველს ნავავს და მურტალს რასმე სულ თავზედ დაგვაყრიდნენ, მეტადრე თუ მთვარეზე ნ. აზიანი, speransa, ეშმაკი და სხვა მათთანანი იცხოვრებდნენ!— მაშინ დედა-მიწაზე ვილას ეცხოვრებოდა!..

კ. ყ—ნი.

არჩემეფის ღროს.

— თუ სოციალიზმი გწამს, მაშ რატომ ჩვენ არ მოგვემბრობი, სოციალ-დემოკრატებს?

— რა ვქნა, იესოს მოძღვრებაცა მწამს, მაგრამ იეზუიტებს მაინც ვერ მივემბრობი, თუმცა ისინი თავიანთ საზოგადოებას იესოს საზოგადოებას ეძახიან.

ერონული გიგლიოთიკა

ძლივს ალაგმეს სცენის მტრები
გაღებრუნდათ ბედის ჩარხი...
მართლაც ეყოთ, რაც ამდენ ხანს
რყენეს და ყვლიფეს მუჴა ხალხი!..
ყველგან ხედავთ დასს და ტრუპას,
წარმოდგენა—კონცერტია!
ყველა სცენას ეტანება
უგნური და ცერცერტია!
ყალბ ბილეთებს ნულარ იტყვიოთ,
აუკლიათ მთლათ ქვეყანა,
თეატრი და ხელოვნება
გაუხდიათ „დაბახანა“!

ეხლა ღვთისით, სცენის ოხრებს
აეკრძალათ თარეშობა,
ღღეის უმდევ სცენის საქმეს
ჰმართავს მხოლოდ გამგეობა

ზრი—გრი.



ტალღებ შუა.

კოლდენის ნახატი.

პატიმრის გოდება.

ჩემი ოთახი ვაწრო ზატარა,
ფანჯარა რკინით ჩასლართულია,
მისი კედლები სქელი, მაგარი
მადღ კლდის ზირას ამართულია.

ამ კუბოს ჰქვიან „მეტესის ციხე“,
ძველთაგან ძველად აგებულია,
დადი ქალაქი გარს ახვევია,
თვით კი ობლად სდგას გარიყულია.

კლდის ძირს ჩამოსდის მტკვარი გიჴმაჴი
კლდეც გადაუტრებს შერუყულია
ხან ჩამოწქნდება, მისცურავს წუნარად,
ხან მობობქრებს ამდგრეულია.

მდინარეს ვერა დაუკლია რა,
სადი კლდე სალად დაჩენილია,

ამაყთა სდგას უხსოვარ დროთგან
წარსულ დრო-ჟამთა ზირშია შვილია.
მასში ბეგრ მართაღს ამხნდა სული

დღესაც მართლებით გავსებულა
ვინ მოსთვლის რამდენს მის კედლებ შორის
ბოლო მოკლე, დაწედა გულა!

დღისით დაუფურებთ— მოძრახს ხალხსა
ფუნფუნებს, გააქვს ჟრამულა,
მხოლოდ ეს გვართობს, მხოლოდ ეს გვაღხენს,
ტუხადთ გვერთობა ამით გულა!

ღამე კი უველა სულს გავინაბებთ
არ გვეკარება თვაღხე რულა
არა ისმის-რა, გარდა ღარაჯის
მძიმე და სწორი სიარულა...

მუდამ ერთ მხარეს უფრებინაგან
თვალები გვეტოვა დაღაღულა,
საკანში გავლა არ შეგვიძლიან,
სიგრიკე-სიგანეს მოკლებულა.

ასე ვაღამებთ, ასე ვათენებთ.
შეტად მწარეს ჩვენი ცხვრება...
თკით მოქმედებას გამოკლებული,
უფრო მწარდება ჩვენი გონება...

სცდებით მხაგვრელნი, ზოძაღაღენო,
ვინც წინმსვლელობას გადადობება,
მტრობა და რისხვა შეგუბებულა
უფრო მრისხანედ გულს აღმოსკდება!..

შაქრო ნავთლულელი.

ჯამუშთა კრება

ენატანიანი (საქართველო). მომავალი წლის, წარსულ ქრისტისშობისთვის 31, აქ მოხდა ჯამუშთა საერთო კრება. კრება მეტად ცხარე და საქმიანი გამოდგა. მხურვალე სიტყვებში ორატორებმა დაამტკიცეს თვისი არა სასურველი მდგომარეობა.

მთელი კრება ორ ფრაქციით გაიყო. „მემარცხენეებმა“ წამოაყენეს საკითხი 8 საათის სამუშაოს დღისა და „ზრდილობიანი“ მოპყრობის შესახებ.

მემარჯვენეებმა მედგრათ მოითხოვეს, საპატიო ნიშნები იმ ამხანაგ ჯამუშებისთვის, ვინც გადაწყვეტილ რიცხვს რევოლიუციონერებისას დაიჭერს.

კრებაზედ გამოირკვა, რომ არსებული „ნიხრი“ რევოლიუციონერების შესაპყრობად დანიშნული, მაგალითად ესდევები 3 მ. 75 კ. და ესერები 5 მ. 25 კ. ძლიერ მცირეა. კრებამ აუცილებელ საჭიროდ დაინახა მომხდარიყო უფრო დაწვრილებითი და სამართლიანი „ტაქსიროვკა“ და იქვე არჩეულ კომისიას დაევალა განსაკუთრებითი ფასები დაარსოს მენშევიკებისა, ბოლშევიკებისა, მაქსიმალისტებისა, მინიმალისტებისა, ანარქისტ-კომუნისტებისა, ანარქისტ-ინდივიდუალისტებისა და რევოლიუციონერთა შეპყრობისათვის კრებამ აგრეთვე ერთხმად მიიღო, ორივე ფრაქციის წამოყენებული საკითხები.

განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია იმ სიტყვებმა, რომლებიც იქმნებიან აღნიშნული საპატიო ნიშნებზედ, და რომელნიც დაამშვენებენ მხოლოდ რჩეულ „გმირთა“ გულს. აი, ეს სიტყვებიც:
არ შედრკე, გმირო! კრამოლნიკებსა—
კვალად სდენიდე „რაზბოიკებსა“!
გახსოვდეს, რომ ხარ გულადი „შპიკი“
შენს მფარველად არს ტყვია და „შტიკი“!
დასასრულ გადაწყდა, მიმართონ ყველა ქალაქების ორგანიზაციებს, რათა მოახდინონ საერთოდ მთელი რუსეთის ჯამუშთა კრება და საბოლოოდ შემუშავდეს პარტიული პროგრამა.

ჯაფარა

ორს კელავობს.

ერთს ქალაქში, არც ისე შორს, არის ორი ინსპექტორი...
ზღაპარს კი არ მოგახსენებთ,
არც გვეგონოსთ ვისმე ჭორი.
ერთს ძანი ქვიან სახელათ,
მეორეს ქვიან მანია,
ერთს აზრისა ყოფილან
ორივე ხნიერი ყმანია.

ქართველებია ორივე,
მაგრამ ქართულს არ წყალობენ,
როგორც მოხელე პირები,
დროს შესაფერათ გალობენ.

ორთავ თხოვნა მიუციით,
რომ ჩვენს ძესა და ასულსო
არა სურთ, ნურცა ასწავლით
მშობლიურს ენას ქართულსო!

მიზეზათ იმას ამბობენ,—
მათ კი დაუდგათ თვალია!—
რო ცოლებათ ყავთ ორივეს
თურმე რუსების ქალია...

კარგს მაგალითს იძლევიან...
ვაშა, მათს პედაგოგას!
კაცი თუ შენსას ივიწყებ,
სხვებშიც იწყებ ლოლიალს!

არ მეგულება სხვა ტომში
მებრი დეგენერატები,
მეცნიერების დამცველი
პედაგოგის ბატები!!

თომა პუსა.

წერილი რედაქციისადმი.

ბ-ნო რედაქტორო!

„ნიშადურის“ № 11 მოთავსებულია თბრობა: „თელავის ქალთა ზავედნიაში“. ეს თბრობა ჭორია; შეურაწკრობს მთელ დაწესებულებას. სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო წინადადებს გაძლევთ ან დამატებით კორესპონდენციაში მოთბრობილი ამბავი, ან გამოაცხადოთ, რომ შეცდომაში შევიყვანესთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო იძულებული შეიქმნება აღადგინოს ჭკმბარიტება სხვა გაზუთების შემწეობით.

თელავის ქალთა სასწავლებლის
პედაგოგიური საბჭო.

რედაქციისაგან. ზემოდ მოყვანილი წერილის გამო ჩვენ შევეკითხეთ ჩვენს თელავის კორესპონდენტს და აი რა პასუხი მივიღეთ: „სწორედ არ გვესმის რაზედ გაწიწმატებულა „ზავედნიის“ პედაგოგიური საბჭო (ჩვენ კი საბჭოს არ შეგებებივართ) ჩვენ ასე გვებონა, რომ ჩვენის შენიშვნის შემდეგ, ვისაც შეეგებოდა შენიშვნა, ბასწორდებოდნენ და სამართლიანობის გზას ირჩეოდნენ, ის კი არა რომ ვითომდა შეურაცყოფილნი ფაფხურს დაიწყებდნენ და შებლაღულ სიმართლეს უფრო დააბნელებდნენ. ჩვენ ხელთ არა ერთი და ორი მაგალითები გვაქვს ზოგიერთების უმართებულ საქციელისა და თუ გვიძულეს იმათაც გამოვამჟღავნებთ. რაც ჩვენს შენიშვნაში იყო ეგ ჩვეულებრივი ტიპიური მოვლენა რობორც თელავის ისრე სხვა სკოლებისა და ზავედნიების ცხოვრებაში, მამი-ნათლობა, მირონ-ნათესაობა და პროტექცია რა ხანია ბამკვიდრებულია ჩვენებურ სკოლებში და სასწავლებლებში. ასე და ამგვარად. ჩვენ ჯერჯერობით საიმისო არა ბვითქვამსა რა, რომ ვისმე შეურაცყოფდეს და მალე ვიტყვიტ კი, თუ საქმე ისევ ძველებურ აღათხედ ივლის-შინაურულად. სასწავლებელი საზოგადო დაწესებულებაა და ნურას უკაცრავად, თუ ათასში ერთხელ იმათაც მოხვდებათ „ნიშადურის“ სიმწვავე, რომელთაც საზოგადო კერძოსაგან ვერ გაურჩევიათ.

სიმართლე.

იოანეს ლხინი

(აკ. კის მიბაძვა)

ვანომ ლხინი გაღიხადა
მოიწვია მეგობრები;
გარეშენიც ბევრი ჰყავდა
ერის კაცი თუ ბერები.

უკეთესი მასპინძლობა,
უნდა ვსთქვათ, რომ არ ნახულა:
რა სიწმინდე და ან სიბრძნე
რა იყო, რომ იქ არ თქმულა ..

გადაჰკრეს და სადღეგრძელო
სათითაოდ გააჩინეს,
ზიარებას საესეს სემდნენ,
წვეთიც აღარ დაარჩინეს.

გახალისდა წვერ-ცამეტა,
მოლხენით, რომ სხვებიც ნახა,

შაებნელ ძალთა სადღეგრძელო
ბოხის ხმითა შემოსძახა.

გახარებულს იმის სტუმრებს
ესეც მინც არ აკმარა,
გადმოხტა და ანაფორით
მან ლეკური ჩაუარა.

აქ ვოლოლიამ შემოსძახა
ამფერ, ჩემო ივანეო,
თუმც წმინდა ხარ, გული კია
გარყენილების სავანეო.

ჩაეცინა მსუნაგ მიტროს
საცეკაოდ გაემხადა,
„კეკეოკიც“, რომ ჩაუარა
ეს სუყველას გაეხარდა.

ყველა ლხინობს და თამაშობს,
ისმის ბუკი და ნალარა;
დღეს მათ დრო აქეთ—იქეიფონ!
ხვალ კი—მგონი, რომ აღარა!..

ნელი.

ჩვენი ღროის მოწაფეების მარსელიოზა.

ამხანაგებო! რას ვაქნევთ სწავლას,
კიდე მოვასწრობთ ჩვენ კურსის გავლას!
ჯერ კი ნუნუას! შორს, შორს ფიქრები!
ვინც ჩამოგვრჩები—ბრიყვიც იქნები!..

წინ! გამოვცადოთ ღვინის სმის ომი,
და თავის-თავათ მოვა დიპლომი!..

გადავკრათ რჯულზე, მივცეთ ხელი-ხელს
ჩვენ შორის ლოთი მოიხვექს სახელს,
ხსენებაც მისი არ იკარგოსა!

აბა, წინ, ძმებო, გველის მარკოზა! *)

წინ! გამოვცადოთ ღვინის სმის ომი,
და თავის-თავათ მოვა დიპლომი.

შორს მოვისროლოთ ღრამატიკები!
სამიკიტნოში გორავს ტიკები!!

რათ გვინდა სკოლის ავტონომია,
ლხინი იოლი მისაწდომია.

წინ! გამოვცადოთ ღვინის სმის ომი
და თავის-თავათ მოვა დიპლომი!..

თომა პუსა.

*) მარკოზა—ქუთაისში ცნობილი რესტორატორი.



ქართული ხელოვნება.



თამარა ძნელაძე.
სკრიპკის დამკვრელი.

ს ც ე ნ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს ა თ ვ ი ს .

გეურქას მწარე მოგონება.

ესლა, ავეტიქჯან, ქვეყანა გადაირია; ვითბრან წყალი აღმა მიდისო, დაიჯერე. ჰოო თქო, უთხარი. ნურაფერი გაგიკვირდება. არა გაკვირვება კი არა, კაცო, და რასაც ჩვენ ესლა მოვესწართ, იმაზე მეტი გასაკვირველი განა იქნება. ტყუილა კი არ იტყოდა ცხონებული დედა ჩემი მეორეთ მოსვლის ნიშნებსა ვხედავ, მალე მოვა ანტიქრისტეო, მე კი ვერ მოვესწრობი მეორეთ მოსვლას, მაგრამ იქნებ შენ მოვესწროვო. ჰო, თან და თან მართლდება იმისი სიტყვები, სწორედ ეს ეს არის ანტიქრისტე მოვიდა და ჩემი აზრით მალეც უნდა გადაბრუნდეს ქვეყნიერობა. ან როგორ არ გადაბრუნდეს, კაცო, როცა ხალხმა აღარც ღმერთი იცის, აღარც პატრონი, აღარც ბატონი.

ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა რა დრო გავიარეთ და, აი მანიფესტის წინ რომ დიდი გაფიცვა გვქონდა, აბა მაშინ გადახდა მე საქმე აი: სულ სახლში ჯდომა ახში მომწყინდა, გადავიწერე პირჯვარი და გავედი გარედ. მთელი ქუჩა სალდათებით დაგორდოვოებით იყო სავსე. მე გარინდებული მივიღივარ, აქეთ იქით არ ვიხედები, აცა არ გამჩხრიკონ მეთქი. მაგრამ, აკი არ გაუწყრათ ჩემი გამჩენი და არ დამიყვირეს „სტოი“-ო. მეც გავჩერდი და თან ფერი წამივიდა, თვალი დამიბნელდა. ჩემ თავს ვაგინებ— არა შე ტიალო, რად გამოდიხარ, გარედ ეგდე შენ სახლში, სიკვდილს შიგ პირში რათ უფარდები მეთქი. ის კი ერთი თითქო შეუნახავს რამეო, მიყობს ხელს ჯიბეში უბეში... ტო ყურუმსად, ჩემი ცოლმა ვერ ჩაუყვია ხელი ჩემ ჯიბეში და ის ვილაც მოთრეული კი ჯიბეში ხელმა ისე ურევდა თითქო ლობიო შეჭამანდსა ზელამსო. ეეჰ, აბა, ძმავ, ამის უკან რაღა ბარაქა უნდა ჰქონდეს ჩვენ ჯიბესა... მერე უბეებიც რომ გაშინჯა, მიყვირის, ქუდიც მოიხადეო. ვა, სლუში მეთქი— ვებნები, გოლუბჩიკ, ნიჩავო ნეტუ. ია ჩესტნი ჩალავეკ, ჩესტნი ავეტიკ,

მენე ვეს გოროდ ზნაიტ, პუსტი მენე გოლუბჩიკ, ესლი ბოლუ ლუბიშ. ის კიდე მეჩქევე უფლები თიბი ორუჟიო ბუდიტო, ე თოფი ვებნები, მის? მე კიდე ვებნები, დუშკაჯან, გოლუბჩიკჯან, რაზვე ტაკიო ბოლშოი ორუჟიო ტაკიო მალენკი შლაპკა მოჟნო პალაჟიტ? ის კილო არ მეშვება, შაპკა სნიმი, ა ტო უდარუო. ჰა, მეც რაღას ვიზამდი, ქუდი მოვიხადე. მოვიხადე მაგრამ გული ქორთა მტრედისავითა მიკანკალებს. ვა, ვამბობ, ახლა რომ მითხრას, ნიფხავიც გაიხადეო, მაშინ რაღა ვქნა. ტანტარა ამ შუა ქუჩაზე ხომ გიყმა დამიძახეს, ან ჩემი მაქთალა თუ გაიგო ხომ სახლში აღარ შემიშვებს. ვდგევარ და გული მუცელში მივარდება. მერე ღმერთმა უშველოს ვილაც შლაპანნი, ლურჯ ხალათა მოდიოდა, იმას დაუწყეს ობისკი, მე კი თავი დამანებეს. სანამ ობისკმა მარტყამდენ, ჩუმათ ჩემ სალოცავებს ვეხვეწებოდი, სუფკარაპეტს კელაპტარი დავბირდი, ოღონდ კეთილად ვაღამარჩინე, ერთი არაფერი მიპოვონ მეთქი. მართალია, არა მქონდა რა, მაგრამ, კაცნი ვართ, სლუჩია, იქნებ ჯიბეში ერთბაშად გაზნდა რამე. ვადავრჩი. მინდა კიდეც გავიარო, მაგრამ მუხლები თან აღარ მომდევს. ან კი საღ წავსულიყავ მიკიტნებს ზაბასტოვკა ჰქონდათ, ბაღი დაკეტილი იყო, წვრილ ქუჩებზედ ვიარო, მეშინიან, არავინ არ ეგონოთ თუ სოციალისტი ვარ და პოლიციას ვემალები. მსხვილ-მსხვილ ულიცებზედაც სიარული ხათაბალაა. კაცო ბომბა სულ დიდ ულიცებზე სკდება, აბა სხვა საღ ჯანდაბ-დოზანაში წავსულიყავ.

მართალია, ქალია ქალი ყველაფერში წყეული. მეც სწორედ მანიფესტის წინ რომ ზაბასტოვკა გვქონდა ჩემი მაქთალა, ამიტყდა თუ წადი, კაცო, ახალი ამბავი რამე მოიტანე, რაღა, სახლში რასა ზიხარ, სირცხვილი არ არიო. მეც ღვთის წინაშე მრცხვენოდა, კვირაზე მეტი იყო გარედ არ გამომეხენდა. რა ვქნა, ძმავ, სული ტკბილია, მეშინიან. ან კი როგორ არ შემშინებოდა, როცა კაცებს ისე ხოცამდენ, თითქო, წიწილა იყვესო. თუ ერთ წუწკ გოროდოვოის მოენდომებინა, პოლიციაში გიკრავდა თავსა. ასე იყო თუ ისე დედაკაცმა, რომ საქმე გამიჭირა, ავდექი, მეც ვახსენე ჩემი სალოცავები და გამოველ გარედ. არა, იმ ყურუმსად ჩემ ცოლსაც რაღაც დაემართა, რაღაც ეშმაკის ცხენზედ შეჯდა. დაიწყო თუ არა გაფიცვა, სახლში აღარ მაყენებდა. სულ ყვიროდა თუ ოჯახს ნუ ლუპამ, წადი დუქანი გაადეო. ეე, მუდრეგ, რომ გავაღო განა ალა-ალა არის. თუმცა მოწიში კაცი არა ვარ, მაგრამ მაინც ვერ გავაღებ. რა, გინდა რომ ქვეყანამ ყბათ ამიღოს, ბომბა მესროლონ ან ბოიკოტი გამომიცხადონ და მუშტარი სულ ერთიანად დამიფთხონ!..

ლოზუნგების ცვლილება.

ეროვნული
დემოკრატიული



ესდევების „ტაქტიკა“ ბლადკით ეკვრას ბურჟუების, რითაც უნდა სარგებლობენ მოყვებთან მარქსისტებს... მაგრამ სწორად „ბლადკით“ საძულეთ გაბანძობას... ნეტავ რადის მოქსწრებათ თანხრობის განკურნებას!

ჰო და გამოვედი, მაგრამ სული თან არ მომ-
დევდა. სულ აქეთ-იქით ვიხედებოდი—ან ბოძბა
არ გადმოაგდონ ან არ დამაყენონ და ობისკმა არ
დამაყენონ მეთქი. თუმცა ღერას მიპოვიდნენ, მაგ-
რამ, როცა ობისკს არ მარტყამენ, უსათუოდ უნ-
და გამაციოს ხოლმე. ესეთი უბედური ხასიათი
მაქვს და იმიტომ ვერადები. მივილიდი. უცებ შე-
ვხედო პეტრუხა მოდის ღრეკით. რა, ვეკითხები,
რა? რა გალრიკებს, საიდან მოდისხარ მეთქი? ის
მეუბნება თუ, ოღანეხ, მომილოცავს მანიუესტო.
მე ჯერ ვერა გავიგე-რა. მეგონა უთუოდ ზაბას-
ტოვკა გათავებულა და დუქნის გაღებას მილო-
ცავს, გამეხარდა. როდის, როდის უნდა გავადოთ
მეთქი დუქანი. არა, ჯერ კიდევ არ იქნება დუქ-
ნების გაღება, კრება უნდა იყვეს დღეს ხალხისა,
იქ გადაწყდება—თუ მოინდომეს, გააღებენ, თუ
არა არაო! ძმავ, ვეუბნები, ჩემი საქმე არ არის გინდა
კია იქ კურდღლის ბაჭიასავით გამაგორონ. რა გი-
ჟი ვარ გული ტყვიას მიუშვირო?! ის კიდე მეუბ-
ნება, ოპანეხ, კაცო არ გეუბნები, მანიუესტი გა-
მოვიდა, ხალხი რასაც თხოულობდა, ეძლევა. ეს-
ლა ერთად შეგროვება ყველას შეუძლიან, ხელს
ველარაგინ დააკარებს, რაზედაც უნდა ილაპარაკო-
ნო. რას ამბობ, ბიჭო. ტვინის ლიტინი ხომ არა
გაქვს. ემაგის ნებას ვინ ოხერი მისცემს, ეგ მოტ-
ყუებაა, ხალხი ერთად უნდა შეჰყარონ და მერე
ერთბაშით ამოხოცონ, მეთქი. ის კიდე მეუბნება,
თუ წამო, გაჩვენო ხალხი რაებს ლაპარაკობსო. ეჰ,
მეც როცა დავატყე აღარ მეშვება, ავდექი და გავ-
ყე. თან გზაში ვლოცულობდი, ჩემ სალოცავებს
შევებვეწე, თელეთს ღამას თევასაც დავპირდი,
ოღონდ იქ გადამარჩინე, სროლა არავინ ასტეხოს
მეთქი და თუ კიდე სროლა იყვეს, ხომ იცი მე
არაფერი ბრალი არა მდებს, პეტრუხას ოინია აქ
წამოსვლა, ტყვია მე ამაცდინე და ამას მოარტყი
მეთქი. მე, ხომ იცი, რა აზიზი კაცი ვარ, მაქოა-
ლასთვინა ვწუხარ. მე, რომ მომკლან ჩემი ჯავ-
რით ისიც თან გამაძყვება. უშვილო ხალხი ვართ
და ღეთისნიერი ოჯახი ერთბაშით ამოწყდება მეთქი.
როცა ძალიან ახლო მიველით ხალხთანა, შიშით
ავდექ და ერთი კვირა მარხულობაც დავპირდი.
მიველით. კაცო, მე მეგონა სულ აი, ბუნტის ხალ-
ხი, აი მაწანწალა ოხრები იქნებიან მეთქი. მაგრამ
რომ მივიხედ-მოვიხედე გავკვირდი. ვა, ბლადლორდნი
ხალხი უფრო მეტი არ იყო! ესე გაშინჯე ოფიც-
რებიც კი ერინენ. შაში ვილაც შემდგარა და
რეჩს ამბობს და მერე როგორსა, და! ეხლაც რომ
მომაგონდება, სულ ტანში შემამცივნებს ხოლმე.
კაცო, ერთი ვილაც ლაწირაკი იყო და და ისე
ლაპარაკობდა თი ქო აი ამირანი იყვესო. ჩვენაო,
ჩვენაო მუშა ხალხს ვიბრძოლეთ, არ დავხოვეთ

სიცოცხლე და ბრძოლით მოვიპოვეთ თავისუფლე-
ბაო. ახლა კი, როცა თავისუფლება მოგვეცა, გა-
მოდინ ვიგინდარა ღიპიანი ხაზენინები და კაკარ-
დიანი ჩინოვნიკები და ჩვენ თ ნაგრძნობას გვიც-
ხადებენ. არა, რატომ წინად ვკრე არ გავულისდენ-
ნო. მაგრამ ისინი შშიშრები არიან, რომ დაგვიშა-
ლონ, ფეხს აღარ გააწაწანებენო. ეხლა კი შეხე-
დეთ რა თამაშთ გამოქიბულანო და აკი ჩემსკენ
არ შემოიხედა!.. ჰა, აბა შე ოჯახ დასაქცეო,
ვუთხარი პეტრუხასა. ხედავ, ეგ კაცი გულთმისანი
ყოფილა, სულ ჩემზე ლაპარაკობს. წამო, წამო,
ძმაო, წამო წავიდეთ, ერთი მალე თავი გავაშო-
როთ, თორემ აქ მესვრის რასმესა ეგ თავზე ხელ
აღებული მეთქი. არა, კაცო, არა ღმერთი ხომ არ
გაწვალებს, შენზე კი არა, წინააღმდეგ ხალხზე ლა-
პარაკობენო, დიდ მინისტრებზეო. ერთი ატეხილი
კაცია, ვერაფერს დააჯერებ თანაც ლაპარაკის ან-
გარიში არ ესმის და თუ ერთი ათჯერ არ ჩასჩიჩი-
ნე, ვერაფერს გააგებინებ. მერე ცოტა დავაცა-
დოთ, ის ვილაც იყო თქვა, თქვენა გჯერათ, რომ
მართლა მოგეცათ თავისუფლებაო! ჯერ კიდევ
მთავრობის ხელშია მილიონები, ჯარი, პოლიცია,
შეუძლიან ამ წამშივე აქ ყველანი ამოგვანოცინო-
სო! ვაა, მაშინ კი მე სულ დავრეტიანდი. ამ
დროს რახა-რუხი მომესმა. ჰაა, ვიფიქრე, ეს არი
ჩემი საქმე წავიდა, ჯარი მოდის, აღბად უნდა
ამოგვხოცოს და...—მოუუსვი, მაგრამ რა მოუუსვი,
რომ მეც მიკვირდა ჩემი თავისა. რა ყოჩალი ვყო-
ფილვარ და, მე კი არ ვცოდი. გზაში ხან ვის ვე-
ხალე, ხან ვისა, ის კი მახსოვს ერთი გამოპრანჭუ-
ლი ფაშა დედაკაცი როგორ გავაგორე და ქოლგა
გაუტეხე, ერთ ბარიშნას კიდე ცალი მკლავი კინა-
ღამ მოვაგდებინე. ლონდონის გოსტინიცასთან,
რომ მივახლოვებულვარ იქ ერთი პეტრუხასავით



ქართველი
წიგნწერეთა
კავშირის
სამსახური

„ეზიპოსი“

(მიბაძვა)

ემპრატორ ეზიპოსი, გუგუთს თრეკავს
ეკვას უზნადა სრულს შენს ნებაზე,
უხამ სიბრძევე ვირ-ემპრატორი,
ტლანქი თარეში გძნობის ქვეწახე...

ქსლას სხვას ღრთა, — მუდამ ღრეჭობას
ფუნს ვერ გატევენს, შთახვალ ჯოჯოხეთს...
რაც რამ იბდინძო, რაც რამ იტლინკო
შენი მათნახა „ქვას ვეღარ გახეთქს“!..

გუგო გმშასრავ, რაც იქვემძრამდე,
რაც თავს ლაფ ისხი, რაც გაილანძდე...
შენც კარგად იცო, ან ვინ არ უწყის,
ლანძღვათ მისუქთა, კმუტი გაიძღე!

რიგოლეთოს მაგიერ.

გამოცანა.

(რიგოლეთოსათვის)

ძველ დროში ძველის წესების
მეც მომხრე გიხველიო
და მღვდელ მთავარი დიმიტრის
ვიყავ მარჯვენა ხელიო.

მისი დამქაში, ლაქია,
ჯაშუში, მისი მონაო
და იმიტომაც ვედრება
ჩემი მან გავიგონაო.

როცა ახალი დრო დადგა
ძველ წესებს გავკარ კვანტო,
ხალხს მივეკედლე და გავხდი
სოციალ-დემოკრატიო.

კანი ვიცვალე და გული
კვლავ დარჩა ისევ ძველიო;
გთხოვთ გაიხსენოთ კრილოვის
კან გამოცვლილი გველიო.

კვლავ გადამბრუნდა დროება,
ჩემი სურვილი ახლადო
და თქვენი მონა ბზულია
მთავრობის მონა გახლადო.

არავის არად არ ვაგდებ,
მე ვარ და ჩემი სტვირიო;
ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
მე კი გავითბე ცხვირიო.

ხარამიტელი.

გამოცანა ონელეზისათვის.

მედანოსე და მევახშე
ჩვენში ცხოვრობს ტან დაბალი,
ვისაც ფული მიავალა,
გადაუსხა ცეცხლზე წყალი...
ერთჯერ ციმბირს ბრძანდებოდა,
ძალიანაც მოიკუნტა,
ციხეშიაც თავი უკრეს,
იქაც დიდ ხანს იყურყუტა!..

რაჭველი შურდრლი.

ქკუის კოლოფი მეცა და ისე გამთანგა, რომ ფე-
ხიც ველარ გადავდგი. თანაც მეშინოდა, მე ვთქვი
ეს ეს არი პოლიცია მიჭერ, უნდა მცემონ მეთქი
და როცა გავიგე ვინც იყო, ერთი მაგრა დავილ-
რიალე: ფირუზ, ჰა ჩქარა თავს უშველე! ხოსამენ!
გამოიქეც, ყახახები მოგვდევენ!.. რის ყახახები,
ხომ არ გავიჟდი, ეხლა თავისუფლებათაო. თანაც
ხალხზე მიმიშვირა ხელი—ხედავ რა ამბავიაო. მარ-
თლა კაცო და რა დავინახე. სულ წითელი დრო-
შებით ხელში და წითელი ბანტებით გულზე, მკლა-
ვებზე, ქუდებზე მოდის თვალ-გაღუწვდენელი ხალ-
ხი. თან რაღაც პენსას ამბობს, აი რაღაც ბუნტის
ლექსია. მარსელიოზა თუ რაღაც მუდრეგია. წამო,
წამო შენცაო, მაცივდება ფირუზაი. მეც რას ვი-
ხამდი. წავეყ. რა ვქნა, თითო ამისთანა ოხერი
რომ არ მეღევა, და! ვიარეთ, კაცო, ვიარეთ და
ისევ ძველ ალაგას მივედით. ეშმაკათ აკი პეტრუ-
ხამ დამინახა და და დაიწყო სიცილი. ჰაი შე შში-
შარა, შე ბურჯუაძეო. რამ გაგაქცია ან რა გალ-
რიალებდა—ყახახები მოდიანო. დატვირთული
დროგის ჯახ-ჯახი ყახახების ცხენების ფეხის ხმად
მოგეჩვენაო. არა მეთქი, ვეუბენი, მე საშური საქ-
მე მქონდა იქ გავიქეცა, მეშინოდა არ დავგვიანე-
ბულიყავ... მაგრამ რა შვილს მოატყუებ. ის უფ-
რო დამცინის და მახსარათ მიგდებს. არა, ძმავ,
იმისთანა ალაგებში სიარული რა ჩემი საქმე იყო.
მასუკან დღემუდამ იმართებოდა კრებები, მაგრამ
რაღა ეშმაკი წამიყვანდა! როცა უიმისოდაც სულ
ყახახები და გოროდოვოები მელანდებიან თვალ-
წინა და ყურში სულ შვიშტოკის ყვირილი და
თოფის ხმა მესმის.

— იმ ვერანა დღეების უკანა, კაცო, მეც ეგ-
რე დამჩემდა გული ძალიან დამიშინდა, გატიალდ-
ნენ აჰა, კაი დღეები ისინი არ იყო.

— რა, შენ, მიტინგებს, რომ მართავდნენ იმ
დღეებზე ამბობ?

— მაშა, ვა!

— რა ვქნა ავეტიქ, ძმაო! მე ისევ ძველებუ-
რი დრო მიჩვენდნენ თუმცა პოლიცია გვატყავებდა,
მაგრამ ჯანდაბას, დაე ერთი ლუქმა ჰური იმათაცა
ქამონ, ოღონდაცა ეს რაგინდარა სოციალისტ-მო-
ციქულები ნუ გაბატონდებიან.

— ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა.

— რას ამბობ, კაცო, მაშინ არ იყო, ვილაც
ლაწირაკებს იარაღი, რომ დაურვიგეს. ჩემი დახ-
ლიდარი ასე იყო იარაღში გამაწყობილი, გეგო-
ნებოდა დალისტის შამილიაო. დუქანში ველარა
ვდგებოდი იარაღის შიშითა, მეშინოდა უცებ არა
გავარდნის რამე მეთქი. რა გინდა ძმავ, კიდე რომ
ის დღეები დადგეს, ჩვენ აქ აღარ გვედგომება.

— ღმერთმა ის დღეები ნულარ მოიყვანოს!

— გისმინოს, გისმინოს სურფ სარქისმა!..

დ. ლუკაშვილი.



პროპინცია.

გუდაუთი. აფხაზური ლიტერატურა. მთელი ერთი კვირა აფხაზები ეწიადებოდნენ. მოეწადნენ და მოესწრენ კიდევ აფხაზურ ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღებას. ნ ნოემბერს ჩამოვიდა სუხუმის ეპისკოპოსი მრავალის საამღვდელოების თანხლებით. მეორე დღეს დილით ცხრა საათზედ გამგზავრენ სოფელ ლიხინში; სადაც ლიხინის ძველის ძველ ეკლესიაში უნდა ეწირათ ახალ ლიტერატურის შემქნელ მამებს; ლიხელმა ხალხმა მოიყარა თავი. სხვათა შორის დაესწრენ: ადმინისტრაციის მხრიდან სოხუმის ოლქის მმართველი თავადი ლ. გ. ჯანდერი და რამოდენიმე იქაურივე მოხელენიც. ნამესტნიკის წარმომადგენელი — ვეიდენბაუმი და გაგრიდანაც ავტომობილით მობრძანდა მისი უმაღლესობა პრინცი პეტრე ალექსანდრესძე ორენბურგელი თავის ამალით, რის შემდეგ აფხაზურათ დაიწყეს ღვთის მსახურება მღვდლებმა დიმიტრი მარლანიამ და ნ. ლადარიამ; ესენი ბრძანდებიან შემქნელნი და პირველ მოციქულნი აფხაზეთის ლიტერატურისა; ყველამ ყური ცქვიტა და სმენად გადაიქცა ამ არა ჩვეულებრივ ღვთის მსახურების მოსასმენად; ეკლესია გაქედლი იყო ხალხით, ბევრი შიგ ვერ მოთავსდა და გალავანში იდგა, მაგრამ საუბედუროდ გაავდარდა და წვიმამ წამოაშხაპუნა, რამაც ხალხი ძალიან დაალონა — ცუდ ნიშნად ჩასთვალეს. წირვას სხვა ტომის ხალხიც ბევრი დაესწრა: რუსები, სომხები, ბერძნები, ქართველები და სხვანი, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მგალობელთა გუნდმა.

წირვის შემდეგ მღვ. მარლანიამ მიმართა აფხაზებს ეროვნულის „რეჩით“. ილაპარაკა აფხაზურ მომავალ ლიტერატურაზე, მის სარგებლობაზე, სამშობლოს აყვავებაზე და სხვა. ამის შემდეგ ეპისკოპოსმაც წარმოსთქვა სიტყვა, ისიც შეეხო აფხაზეთის წარსულს და მომავალს, სხვათა შორის, სთქვა: დღეს იქით ბედნიერია აფხაზის ხალხი, რადგანაც სამშობლო ენაზე მოისმენს წირვა-ლოცვასო, რაითაც უეჭველია განიმტკიცებს ქრისტეს რჯულსაო. ილაპარაკა აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემის მიზეზებზე — რადგან დღემდე ეკლესიებში სხვა ენაზედ ლოცულობდნენ, ენა არ ესმოდათ და ეკლესიებიც იმიტომ არ უყვარდათო. ბოლოს საშუაყანოელ და აქაურ აფხაზთა ახალგაზდობის მიერ გაიმართა მარულა (დოღი). ბრინცი მინდვრად იჯდა და დოღს უყურებდა, მურზაყან ლაკერბაის ცხენმა გაიმარჯვა და პრინცი მიიღო პრინცისაგან ასე დაიწყო და გათავდა აფხაზების ახალი ლიტერატურის ისტორია.

ათონშვილი.

თელავი. მსახიობთა საყურადღებო.

განაც ადგილობრივი სცენის მოყვარენი ძალიან ზანტობენ, წარმოდგენაში უხალისოდ ენერჯიზმობენ და ამისათვის ამ ქამად ბევრს იწინებენ მოწყენილობა სუფევს. ამისათვის ვიწვევთ „შტატ“ გარეშე დარჩენილ არტისტებს მობრძანდნენ და ხელი შეგვიწყონ წარმოდგენების მართვაში (მსახიობი ქალია, თუ კაცი, უეჭველად დასაქორწილებელი უნდა იყოს) ზარალისა ნუ შეეშინდებათ, რადგანაც, თუ ვინცაა, მათმა სახელმა საზოგადოება ვერ მიიზიდა თეატრში, სამაგიეროდ აქვე გვაქვს „კასსა დასაქორწილებელთა“, საიდანაც ჯვარის წერის შემდეგ მიიღება 50 თუმანი, ასე რომ თითო წყვილი ჯვარის წერის შემდეგ მიიღებს 100 თუმანს. მხოლოდ მსურველთ ძალიან უნდა დააჩქარონ, თორემ ვაი თუ ხსენებული „კასსა“ მალე პატრონს ჩაჰბარდეს, რადგანაც „სიფალშის“ სუნი ასდის.

ჩხვლეტაძე.

გამოცანა

(ქუთაისელებს)

ანგელოზათ მოაქვს თავი,
ერთობ უყვარს ქრთამის ქაში.
შემწეთა ყავს დიდი გვამი,
ვერ გაუგო ვერსით სხვამა.

დღეს შენია, ხვალე სხვისი,
უნდობია ღმერთმა იცის.
პატიოსანს სიტყვას მოგცემს,
გამტეხია, მხოლოდ ფიცის.

გროშს შეაძლევ — გაგიღიმებს,
არსითაა დასანდობი.
ძმას გაყიდის არც შენ გზოგავს,
ვგ იუდა ლამპრის მქრამი.


რეაქციით გამარჯვებულს,
ჯიბეც ერთობ გაუსქელდა.
ისეთს რასმეს შეგიშადებს,
გულს მოხვთება, როგორც ელდა.

მოგეპყრობა მეგობრულად,
თავს ერთავად შეგაყვარებს.
მოგიყვება ქვეყნის ვარაშს,
ხშირათ ფიცავს მშობელ მხარეს.

პარტიებზე ლაპარაკობს,
შენ კი ზსუხს დაგავალებს.
ჰაი, ჰაი, საშიშია,
მოგიძებნის ძველ-ძველ ვალესს!..

ანგელოზათ მოაქვს თავი,
ერთობ უყვარს ქრთამის ქაში.
შემწეთა ყავს დიდი გვამი,
ვერ გაუგო ვერსით სხვამა...

ბომბა



მესამე დუმა განაწრუდა,
დაეპატრონა ბიუროკრატია,
შემადრფენენი განგაშს უკრავენ,
რამ იქ არა სჩანს მარცხის ზარტას!..

გამოცანა.

(ფოთელებისათვის).

გამოცანას მოგახსენებთ დიდი არაფერიაო
ესდევების აბდა-უბდა ბაყაყეთში ბევრიაო.
კამბულას და მის პარტიას თურმე ესხმით თავსბრუ,
| რეტი,
თვისას მაინც არ იზლიან, თავს ჩასთხლიშოთ თუნ-
| და კეტი!
ხარბათ უყვართ საკუთრება, უფრო ძლიერ კიდენ
| ფული,
ოქროსათვის სანადიროთ შორს წავიდა მათი რჯული!
თავსმჯდომარეთ კერპად უზით ცილინდროსანი გმი-
| რია,
სინილისში ბევრად სჯობნის მას გოჯასპირას ვირია,
ბიჭი.

ნაწყვილი.

ყველა ხედავს ცხადზე ცხადათ,
არვინ ამბობს მხოლოთ ამას,
რომ „დუმაში“ კამათობა
საარაკოს მოგავს თამაშს.
ნასუფრალზე სტუმრათ მისვლა
იმას ქონდეს, ვისაც სჯერა,—
„შავრაზმელებს ვარჯულებთო“,
არ მრწამს რომ თქვან, აღარ მჯერა!
დღეს რომ მითხრან: „ჰა, ვკეთდებით,
უიმედო შენ ხარ ერთი!..
რუქას არაკს ვეტყვი იმას:
— ისემც გაგაკეთებს ღმერთი!“
ურწმუნო თომა.

ღვარძლია ჩემი სახსარი სიმართლის
უსირცხვილობა, სიმურტოე შეტოქე
ესდევის ნუგეშ-მცემელი, იარის გამკურნელიო,
ესფერთა შესაბლავად ტალახის შემთუთხნელიო.
არ ვერიდები არავის, შევლახავ წმიდათ-წმიდათა,
უწმინდურ გრძობის ბაგეთვან ამომდის ფინთი ფინ-
| თათა.

მონადირე.

ეზიპოსის საუბარი

(ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთ ჯგუფში)

— რა შეულოცეს „ტფილისის დუმის კადე-
ბმა“ ისეთი, რომ თეთრი სტეპკო ქრელაშვილი
გააშავეს?

— უებარი შელოცვა იყო!

— მაინც?

— ერთი ქართველიც ეყოფა
ლოროდ ტფილისსაო,
არ ხამს ქალაქის მდივნობა
ჩვენს მტერს სტეპკოსაო,
განჯის ამბებს რომ ვიგონებთ
თაყიშვილსაო,
შავი კენჭი მართლისათვის
ჩასაქოლად მზაო!

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

განცხადება.

ღღეიდან „ნიშადური“
სუთმაბათობით გამოვა. 

დაიბეჭდა და გამოვა განსასყიდათ
„ნიშადურის“ კრებული.

ახალი ელექტრო-მბეჭდავი სტამა

„სორაპანი“

ეპულობს ეოველეგარ სანტამბო საქმეს განსა-
კეთებლათ სუფთად და დანიშნულ დროსე.